



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

Georgia. The Assembly of Mestia Municipality



დ.მესტია

17.02 .2017 წ.

საქართველო, დ.მესტია. სეტის მოედანი #1

ტელ: (995) 99 85 55 40

ელ.ფოსტა: mestiis.mun@gmail.com

www.mestia-sakrebulo.ge

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №7

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში 2016 წელს გაწეული

მუშაობის შესახებ


„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ცნობად იქნას მიღებული მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (ანგარიში თან ერთვის).
2. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობა ჩაითვალოს დადებითად.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
4. განკარგულება ამოქმედდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N-12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე



მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: – მესტიის მუნიციპალიტეტი

გამგებლის სახელი, გვარი: – კაპიტონ ჟორჟოლიანი

მუნიციპალიტეტში თვითმმართველობის მოხელეთა რაოდენობა: – 91 მოხელე

მუნიციპალიტეტში გამგეობის თანამდებობის პირთა რაოდენობა: – 13 თანამდებობის პირი

საანგარიშო პერიოდში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯების ოდენობა : – **3 877 900 (სამი მილიონ რვაას სამოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაასი) ლარი - ათვისებულია 2 456 600 (ორი მილიონ ოთხას ორმოცდათექვსმეტი ათას ექვსასი) ლარი.**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მიმდინარე წელს: – **16 464 200 (თექვსმეტი მილიონ ოთხას სამოცდაოთხი ათას ორასი);**

საანგარიშო პერიოდი - 2016 წელი;

მოგესალმებით, ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო საკრებულოს წევრებო, საკრებულოს თავმჯდომარე და დამსწრე საზოგადოება.

წარმოგიდგენთ, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2016 წელს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1. პუნქტის ბ-ე ქვეპუნქტის თანახმად.

მოგახსენებთ, რომ საანგარიშო წლის დასაწყისში მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელმძღვანელობისა და შესაბამისი სამსახურების მიერ შემუშავებული იქნა მესტიის მუნიციპალიტეტის 2016 წლის პრიორიტეტების გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობის, ეფექტურობისა და სამოქალაქო ჩართულობის გაზრდას. ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობას, რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციას, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების შექმნას, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობას, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელებას, მყარი ნარჩენების გადამუშავების და მიწის საკუთრების საკითხებს.

მესტიის მუნიციპალიტეტის შემოსულობების 2016 წლის გეგმა შეადგენდა 16 464 200 ლარს (გეგმის თანხაში შესულია 1 500 000 ლარი, რომელიც მთავრობამ სესხის სახით გამოგვიყო) შესრულებამ ხაზინის მონაცემების მიხედვით შეადგინა 13 138 100 ლარი, გადასახდელები 2016 წლის გეგმა - 16 464 200 ლარი, საიდანაც ათვისებულმა თანხამ ხაზინის მონაცემების მიხედვით შეადგინა 10 173 100 ლარი.

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, როგორც მოგეხსენებათ, ყოველწლიურად მუნიციპალიტეტისთვის გამოიყოფა თანხები ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების განსახორციელებლად გამოსაყოფი თანხის მთლიანი მოცულობა განისაზღვრება აღნიშნული ფონდის მთლიანი ბიუჯეტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით.

მესტიის მუნიციპალიტეტისათვის ყოველწლიური ლიმიტი შეადგენს 2 000 000 ლარს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული თანხის ათვისების შემდგომ ხდება დამატებითი თანხების გამოყოფა.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მესტიის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების ინიცირება ხდება საპროექტო წინადადების მოწონების თაობაზე საკრებულოს გადაწყვეტილების შემდგომ.


საანგარიშო პერიოდში მესტიის მუნიციპალიტეტში 2015 წელს დაწყებული გარდამავალი პროექტებიდან:

- **დასრულდა** ცენტრალური გზიდან **სოფელ ჭუბერის ცენტრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები**, ღირებულებით **3 600 000** ლარი. პროექტის ფარგლებში მოეწყო 4,1 კმ ბეტონის გზა, ერთი ერთეული რკინა-ბეტონის ხიდი, 8 მილხიდი და დამცავი გაბიონები. სამუშაოები შესრულდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მამისონის“ მიერ. ამ ეტაპზე **პროექტის ფაქტიური ათვისება შეადგენს 3 585 000 (99.58%) ლარს**, საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდგომ; (2016 წელს პროექტის განსახორციელებლად გამოიყო 1 600 000 ლარი).
- 2015 წლის 30 ივლისს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „ზიმოს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანია ასრულებს **სოფელ ნაკრასა და ჭუბერში საბავშვო ბაღების მშენებლობის სამუშაოებს**, რომლის ღირებულებაც შეადგენს **591 916 ლარს**. ამ ეტაპისთვის პროექტის **საკასო ათვისება შეადგენს 407 595 (69%) ლარს**, ხოლო **სამუშაოების ფაქტობრივი შესრულება გახლავთ 78% – 465 159 ლარით**. პროექტის დასრულების თარიღია 15.12.2016 (შეთანხმების აქტი N3); ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო კომპანიაზე დაკისრებული **საჯარიმო სანქცია შეადგენს 2367 ლარს**. გამგეობის მიერ გამოთხოვილ იქნა ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა – **8875 ლარი**. სამშენებლოდ ხელსაყრელი პირობების დადგომისთანავე გაგრძელდება პროექტზე მუშაობა.
- **დაბა მესტიაში აღმაშენებლისა და გელოვანის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებს** 2015 წლის 19 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებდა შპს „ზიმო“. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება გახლავთ **2 116 080 ლარი (2016 წელს პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილი თანხის ოდენობა გახლავთ 516 080 ლარი)**. ამ ეტაპზე **საკასო ათვისება შეადგენს 1 712 949 (81%) ლარს**, ხოლო **ფაქტობრივად შესრულებულია სამუშაოების 83% 1 747 502 ლარით**. აღსანიშნავია, რომ კომპანიის მხრიდან დარღვეულ იქნა ხელშეკრულების პირობები, კერძოდ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ასევე დარღვეულ იქნა სამუშაოს მიწოდების ვადები, რის გამოც კომპანიას გაეგზავნა შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტისა და **საჯარიმო სანქციების (4232 ლარის ოდენობით)** დაწესების შესახებ. აღნიშნულ პროექტზე გამგეობის მიერ გამოთხოვილ იქნა ხელშეკრულების შესრულების **საგარანტიო თანხა – 31 742 ლარის** ოდენობით. მესტიის

მუნიციპალიტეტის გამგეობა იღებს ვალდებულებას სამშენებლოდ ხელსაყრელი პირობების დადგომისთანავე გაგრძელდეს პროექტზე მუშაობა. კერძოდ, ექსპერტიზის მიერ შესწავლილი იქნება როგორც შესრულებული, ასევე დარჩენილი სამუშაოების ოდენობა, რის შემდეგაც გამოცხადდება ხელახალი ტენდერი დარჩენილი სამუშაოების შესყიდვის თაობაზე.

- **უშბის ქუჩისა და მასში შემავალი ჩიხების რეაბილიტაციის** თაობაზე 2014 წლის 1 ოქტომბერს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „TRANS MOBIL“-ს შორის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 სექტემბრის N1537 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, გაფორმდა ხელშეკრულება ერთ პირთან მოლაპარაკებით. კომპანიას საბანკო გარანტიის საფუძველზე გადაერიცხა 400 000 ლარი ავანსის სახით. აღნიშნული კომპანიის მიერ წარმოდგენილ იქნა შესრულებული სამუშაოს აქტი ფორმა N2 და ექსპერტიზის დასკვნა **762 206 ლარის** ღირებულებით. მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისის სამსახურების მიერ შესწავლილ იქნა ფაქტობრივი სამუშაოები, რის შემდგომაც შემსრულებელ კომპანიასთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეწყდა ხელშეკრულება. **დარჩენილ 362 206 ლარზე**, 2015 წლის 12 ოქტომბერს შპს “Fin Astate“-თან გაფორმდა ხელშეკრულება, რომელსაც ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების გამო დაეკისრა **საჯარიმო სანქცია 16 299 ლარის** ოდენობით და შეუწყდა კონტრაქტი. ამ ეტაპისთვის პროექტის **საკასო და ფაქტობრივი შესრულება შეადგენს 298 756 (82%) ლარს**. პროექტის ფარგლებში ასათვისებელი თანხის ოდენობა გახლავთ **63 450 ლარი**.

დღეის მდგომარეობით უშბის ქუჩისა და მასში შემავალი ჩიხების რეაბილიტაციის მეორე ეტაპის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა (დეტალები იხ. ქვევით)



2016 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მესტიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობაა **2 116 080 ლარი** (მათ შორის **5% ადგილობრივი ბიუჯეტიდან**), რომლის საკასო ათვისება ჯამში შეადგენს **1 617 100 (80%)**, ხოლო ფაქტობრივი შესრულება – **1 747 502 ლარს (83%)**.

საქართველოს მთავრობის **2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილებაში** შეტანილი ცვლილების თანახმად (**18.01.2016 N23 დადგენილება**) მუნიციპალიტეტი ვალდებულია ადგილობრივ ბიუჯეტში გაითვალისწინოს შესაბამისი სახსრები, რომელიც განისაზღვრება პროექტების ჯამური ღირებულების ფარგლებში, შესაბამის წელს ასანაზღაურებელი თანხის არანაკლებ **5%-სა**.

2016 წელს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდგომ **მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდიდან** მესტიის მუნიციპალიტეტისთვის გამოიყო **600 795 ლარი**, სოფელ **ლენჯერსა და ფარში საბავშვო ბაღების მშენებლობის** განსახორციელებლად. სამუშაოებს ასრულებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „თი ემ“, 2016 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულების საფუძველზე. ამ ეტაპზე პროექტის საკასო ათვისება შეადგენს – **180 179 (ავანსი საბანკო გარანტიის საფუძველზე) (30%) ლარს**. პროექტზე მუშაობა დაწყებულია, სამუშაოები გაგრძელდება სამშენებლოდ ხელსაყრელი პირობების დადგომისთანავე. პროექტის დასრულების ვადაა 2017 წლის 30 ივლისი.

2016 წელს სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილ იქნა 1 636 079 ლარი:

- ❖ საქართველოს მთავრობის 07.07.2016 წლის N1340 განკარგულება - 869 279 ლარი;
- ❖ საქართველოს მთავრობის 28.07.2016 წლის N1533 განკარგულება - 663 400 ლარი;
- ❖ საქართველოს მთავრობის 18.07.2016 წლის N1420 განკარგულება - 103 400 ლარი.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში 2016 წელს განსახორციელებელი 20 პროექტიდან დასრულებულია 15 პროექტი. 2017 წელს გადავიდა შემდეგი ვალდებულებები:

1. ბეჩოს ტერიტორიული ერთეული, სოფელ დოლში რკ/ბეტონის არხის მშენებლობა

სახელშეკრულებო ღირებულება: **904 000 ლარი;**

შემსრულებელი: **შპს „კაპიტელი“;**

პროექტის სტატუსი: **მიმდინარე;**

ვადები: **28.12.2016 – 30.10.2017;**

ბენეფიციართა რაოდენობა: **81;**

პროექტის აღწერა: უხვი ნალექის შედეგად, სოფელ დოლში არსებული ღელე პერიოდულად დიდდება, გადმოდის კალაპოტიდან და აზიანებს მიმდებარე ტერიტორიას. ღელის კალაპოტში გაიარა ქვატალახიანი შემადგენლობის ღვარცოფულმა ნაკადმა, ღვარცოფის მყარი მასალის აკუმულაციის ზონა მდებარეობს ადგილობრივი მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებისა და საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე. დაზიანდა სოფელში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების გზა, ასევე ღელეს შემაკავებელი გაბიონები, ადგილობრივი მოსახლეობის საკარმიდამო ეზოები, სათიბეები და სახნავ-სათესი სავარგულები.

პროექტის ფარგლებში კეთილ მოეწყობა გზა, ასევე 500 მ რკინა-ბეტონის არხი, 3 ხიდ-ბოგირი და გზის დამცავი გაბიონი. რაც დაიცავს ადგილობრივ მოსახლეობას ღვარცოფული პროცესებისგან.

2. ნაკრის ტერიტორიული ერთეული, მდ.ნაკრაზე ნაპირდამცავი ხის ჯებირების მშენებლობა

აღნიშნულ პროექტზე გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია შპს „ჰიდრომშენმა“ ვერ შეასრულა 2016 წლის 31 აგვისტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რის გამოც მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმების აქტით (09.11.2016) შეწყდა ხელშეკრულება. პროექტზე ხელახალი ტენდერი გამოცხადდა 2016 წლის 14 ნოემბერს.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება: **71 804 ლარი**;

შემსრულებელი: შპს „ჯეირანი“;

პროექტის სტატუსი: მიმდინარე

პროექტის ვადები: **29.11.2016 – 30.03.2017**

მდ. ნაკრის ადიდების შედეგად ზიანდება ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები, პროექტის განხორციელების შედეგად მოეწყობა 192 მ³ ხის ჯებირი.

3. ლახამულას ტერიტორიულ ერთეულში, სოფელ ქვედა იფართან დამაკავშირებელი რკინის ხიდის რეაბილიტაცია

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება: **94 588 ლარი** (მათ შორის 2016 წლის სოფლის პროგრამის ფარგლებში – **21 218 ლარი**);

შემსრულებელი: შპს „ლიდერი +“;

პროექტის სტატუსი: მიმდინარე (პროექტზე გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა 2016 წლის 15 ნოემბერს)

პროექტის ვადები: **07.12.2016 – 07.02.2017**;

ბენეფიციართა რაოდენობა: **49**

შენიშვნა: პროექტის საკასო ათვისება შეადგენს **30 % – 28 376 ლარის** ოდენობით (თანხა გადარიცხულია საბანკო გარანტიის საფუძველზე ავანსის სახით);

პროექტის შედეგად რეაბილიტაცია ჩატარდება სოფელ ქვედა იფართან დამაკავშირებელ საავტომობილო ხიდს, კერძოდ, მოეწყობა ბეტონის ბურჯები, გამაგრდება ორტესებრი კოჭები და გამოიცვლება ხიდის ფენილი. აღნიშნული ხიდი მოსახლეობისთვის სოფელთან დამაკავშირებელი ერთადერთი საავტომობილო ხიდი გახლავთ.

2016 წელს სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების პროექტების ფარგლებში შეუსრულებელი ვალდებულებები:

1. ლატალის ტერიტორიულ ერთეულში, სოფელ იენიშის წყლის სისტემის რეაბილიტაცია და წყლის მიწების შექმნა

სახელშეკრულებო ღირებულება - **44 999 ლარი** (ათვისებულია თანხის **58 % – 25 959 ლარი**);

შემსრულებელი: შპს „დოიჩი“;

პროექტის სტატუსი: შეწყვეტილი (დარჩენილ სამუშაოებზე ხელახლა გამოცხადდება ტენდერი);

პროექტის აღწერა: სოფელ იენაშში არსებული წყლის სათავე ნაგებობა და რეზერვუარი საჭიროებს რეაბილიტაციას, ვინაიდან არსებული სათავე ნაგებობა მოწყობილია შესაბამისი სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების გარეშე, რის გამოც სოფელ იენაშს მიეწოდება დაბინძურებული წყალი.

2. უშგულის თემში წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია

სახელშეკრულებო ღირებულება - 13 999 ლარი;

შემსრულებელი: შპს „დოიჩი“;

პროექტის სტატუსი: შეწყვეტილი (კომპანიამ არ განახორციელა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის საფუძველზეც ცალმხრივად შეუწყდა ხელშეკრულება).

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასრულებული პროექტები:

N	პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი)	შემსრულებელი	ბენეფიციართა რაოდენობა
1	ბეჩოს ტერიტორიული ერთეული, სოფელ ბაგვდანარში ღვარცოფსაშიში დელის განტვირთვა და ხიდის მშენებლობა	69 370	შპს "კომპი"	87
2	ხაიშის ტერიტორიული ერთეული, გაღმა ხაიშის ხიდის რეაბილიტაცია	31 369	შპს "ჯეირანი"	148
3	იფარის ტერიტორიულ ერთეულში, მდინარე ადიშურაზე, სოფელ ადიშთან დამაკავშირებელი გზის დამცავი ნაგებობების მშენებლობა	34 190	შპს "კომპი"	31
4	ლენჯერის ტერიტორიული ერთეული, სოფელ ქაშვეთში მდინარე მესტიაჭალაზე დამცავი გაბიონების მოწყობა	57 480	შპს "ჯეირანი"	108
5	ეცერის ტერიტორიული ერთეული, ორი ერთეული სახიდე გადასასვლელის მოწყობა	8 500	შპს "ლიდერი +"	120
6	ლახამულას ტერიტორიულ ერთეულში, სოფელ დიზში გზის დამცავი ნაგებობის მშენებლობა და სოფელ ლატალში გზის საყრდენი კედლის მშენებლობა	22 950	შპს "ეკობანი"	91
7	ბეჩოს ტერიტორიული ერთეული, სოფელ უშხვანარში საკანალიზაციო მიწების შეძენა-შემოტანა	20 123	შპს "ემკა ბაუენი"	177
8	ბეჩოს ტერიტორიული ერთეული, სოფელ უშხვანარში საკანალიზაციო მიწების შეძენა-შემოტანა	6 100	შპს "ემკა ბაუენი"	177
9	ეცერის ტერიტორიული ერთეული, ქურაში-ჭელირის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	6 448	შპს "მესტიის გზა"	120
10	ნაკრაში, მდ.ლექველირელის კალაპოტის განტვირთვა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების გზის მოხრეშვა	86 999	შპს "თაგი"	300

11	მულახის ტერიტორიული ერთეული, სოფელ ლახირში წყლის სათავე წაგებობის რეაბილიტაცია	24 720	შპს "იმედი დიდუბე"	158
12	ლენჯერის ტერიტორიულ ერთეული, სოლში გზის დამცავი გაბიონის მოწყობა	5 998	შპს "ნიუ ჰაუერ"	10
13	მულახის ტერიტორიული ერთეული: სოფელ ჩვაბიანისა და ჟაბემის ღელეების განტვირთვა	92 960	შპს „კომპი“	401
14	ხაიშის ტერიტორიული ერთეული, მდ.ხაიშურას კალაპოტის განტვირთვის სამუშაოები წვირმინდის ხიდთან	13 044	შპს „ჯეირანი“	48
15	იდლიანის ტერიტორიული ერთეულში შიდა სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოები და ორი სახიდე გადასასვლელის მოწყობა	18 764	შპს „ჯეირანი“	292

აღსანიშნავია, რომ 2016 მუნიციპალიტეტში პირველად განხორციელდა სტიქიის საპრევენციო ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც დაბა მესტიაში ლეხთაგის ღელეზე მოეწყო ღორღ-დამჭერი და ღელეს კალაპოტი.

პროექტის საერთო ღირებულებაა 740 000 ლარი, საიდანაც 500 000 ლარი დაფინანსდა შვეიცარიის განვითარების სააგენტოს მიერ, გრანტის სახით, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის მიერ, „პრევენციისა და მზაობის სისტემის გაძლიერება - მეორე ეტაპის“ ფარგლებში გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების თანახმად, ხოლო 240 000 ლარი გამოყოფილ იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულებით სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში.

აღნიშნული სამუშაოების შესყიდვა მესტიის მუნიციპალიტეტის გაგეობამ განახორციელა გამარტივებული შესყიდვის წესით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, რისთვისაც საჭირო გახდა საქართველოს მთავრობისა და შესყიდვების სააგენტოს ნებართვები. სანებართვო და განკარგულების პროექტები მომზადდა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების სამსახურის მიერ.

შპს „კომპი“-ს შორის 2016 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N99 ხელშეკრულებით განისაზღვრა დაბა მესტიაში ლეხთაგის ღელის კალაპოტისა და ღორღ-დამჭერის მოწყობის პროექტის განხორციელება.

შემსრულებელი: შპს „კომპი“;

პროექტის სტატუსი: დასრულებული;

პროექტის ვადები: 01.08.2016 – 30.10.2016;

ბენეფიციართა რაოდენობა: 3000;

„ლეხთაგის“ ღელეს კალაპოტი არის ერთადერთი გზა, რომელიც აკავშირებს დაბასთან რამდენიმე ოჯახს და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულებს. პროექტის მიზანი გახლდათ ეროზირებული მონაკვეთის აღდგენა და პრევენციული ღონისძიებების გატარება. აღნიშნული ღელე უხვი ნალექის შემთხვევაში ხასიათდებოდა მეწყერული ჩამონატანით და გზაც იხერგებოდა, რის შედეგადაც წლების განმავლობაში ტერიტორია გადაიქცა ანტისანიტარიის

კერაღ, რაც ადგილობრივ მოსახლეობას დიდ პრობლემებს უქმნიდა. ამიტომ პროექტის ფარგლებში ღელეს სათავეში მოეწყო ღორღ–დამჭერები ლითონის ბაგირით, რომელიც შეაკავებს ჩამონაშალს. ღელეს კალაპოტი მოეწყო რიყის ქვით, კალაპოტის ფსკერზე დაიგო ქვაფენილი, 170 მეტრის მანძილზე მოეწყო რკინა–ბეტონის კალაპოტი, ხოლო არხის ბოლოში გაკეთდა წყალშემკრები.

ადგილობრივ მოსახლეობას ამიერიდან საშუალება ექნება გადაადგილდეს ავტომანქანით ღელეს კალაპოტის მეშვეობით, სადაც მანამდე ფეხით გადაადგილებაც კი დიდ პრობლემას წარმოადგენდა.

2016 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი გახლდათ 744 565 ლარი.

საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, ყოველწლიურად მტკიცდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომელიც თავისი არსით გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა სახის საჭიროებების მოგვარებას და ამ საჭიროებათა მოგვარებაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას. სოფლის პროგრამების მეშვეობით, მუნიციპალიტეტში ხორციელდება სხვადასხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული საკითხის გადაწყვეტა, რომელიც ფინანსდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით, რომელიც ტრანსფერის სახით ირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში.

პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპზე ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლების მეშვეობით, ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართული სოფლის კრებების ჩატარების შედეგად გამოვლინდა სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები (ადგილობრივი ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა–რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება და სხვა). რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის 16 ტერიტორიული ერთეულის 163 სოფლიდან შეიქმნა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2016 წელს განსახორციელებელი პროექტების ერთიანი ბაზა. სულ დაიგეგმა **36 პროექტი**. პროგრამით გათვალისწინებული თანხები გაერთიანდა და ერთი პროექტი განხორციელდა შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებში: უშგული, ლატალი, ნაკრა, ეცერი, ჭუბერი, ცხუმარი, ფარი, მულახი, წვირმი და კალა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაფორმდა 23 ხელშეკრულება. 2016 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პროექტების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის ნაცვლად განხორციელდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, რამაც გამოიწვია სამუშაოების შესყიდვის მოსამზადებელი პერიოდის გაზრდა. დროის ფაქტორის გათვალისწინებით და სამუშაოების ეფექტურობის მიზნით ნაწილი პროექტების შესწავლა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება განახორციელა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისმა სამსახურებმა, ხოლო დიდი ობიექტების შესასყიდად საჭირო გახდა ტენდერის გამოცხადება.

ტენდერი გამოცხადდა 7 შენობის (სპორტსკოლები) საპროექტო დოკუმენტაციის შესასყიდად და 1 წყლის პროექტის შესასყიდად. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შევისყიდეთ 4 ერთეული სპეც. ტექნიკა. სპეც. ტექნიკის შესასყიდად საჭირო გახდა საქართველოს მთავრობასთან წინასწარი შეთანხმება და მხოლოდ თანხმობის მიღების შემდეგ გახდა შესაძლებელი ტენდერის გამოცხადება, ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ტექნიკის მოწოდება განხორციელდა 2016 წლის ოქტომბრის თვეში.

პროექტები რომლის შესყიდვაც განხორციელდა დეფექტური აქტის საფუძველზე დასრულდა 2016 წელს, ხოლო დარჩენილი პროექტები დასრულდება 2017 წელს. რაც გამოწვეული იყო ტენდერების მიმდინარეობის ხანგრძლივობით და ჩაშლილმა ტენდერებით (8) როგორც საპროექტო დოკუმენტაციის ასევე სამუშაოების შესყიდვის პროცესში.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა განხორციელდა მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 26 649 ლარი. ასევე იმ პროექტებზე რომლის განსახორციელებლადაც გამოყოფილი თანხა არ იყო საკმარისი მოხდა თანადაფინანსება სხვა განკარგულებებიდან.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გარკვეული შეფერხებები შეიქმნა შემდეგ პროექტზე:

1. ბეჩოს თემის სოფლებში, ჭოხულდა და მაზერში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის ვალდებულების შესრულებისას შპს „დოიჩს“ არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების გამო დაუკავდა ხელშეკრულების 30% - 3 882 ლარი. პროექტის ღირებულება 13 001 ლარი, საიდანაც ათვისებულია 9 119 ლარი.
ამ ეტაპზე: **პროექტის საკასო შესრულება - 70%, სამუშაოს ფაქტობრივი შესრულება - 80%.**
2. ლატალის თემში, სპორტ-კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელი შპს „აიტინეოს“ ხელშეკრულების მთლიანი ღირებულებებიდან - 57 182 ლარი, ათვისებული აქვს 40 027 ლარი.
ამ ეტაპზე: **პროექტის საკასო შესრულება - 69%, სამუშაოს ფაქტობრივი შესრულება - 95%.**

2016 წლის სოფლის პროგრამებზე მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ ათვისებული თანხის რაოდენობამ ამ ეტაპზე შეადგინა 48 % - 356 885.39 ლარი, ასათვისებელია თანხის 52 % - 387 679.83 ლარი. 100 %-ით დასრულებულია 21 პროექტი, ხოლო დარჩენილ 11 პროექტზე აღებულია ვალდებულებები შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე (იხ. დანართი N1).

2016 წელს სარეზერვო ფონდიდან 77 803 ლარი დაიხარჯა მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების შიდა გზების გაწმენდით სამუშაოებზე. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან მოხდა გამარტივებული შესყიდვის განხორციელების თაობაზე ნებართვების გამოთხოვა. აღნიშნულის საფუძველზე ერთ პირთან მოლაპარაკებით შპს „მესტია გზასთან“ გაფორმდა ხელშეკრულებები, სამუშაოების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა – 45 183 ლარი. შპს „მესტია გზამ“ განახორციელა მუნიციპალიტეტში შიდა გზების თოვლის საფარისა და ჩამონაშალისაგან გაწმენდა.

- ▶ მესტიის მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების გაწმენდა - 13 757 ლარი (შპს „მესტია გზა“)
- ▶ სოფელ ივარში გზის საყრდენი ჯებირის მშენებლობა - 6443 ლარი (შპს „მესტია გზა“)
- ▶ სოფელ წვირშიში, ივარში, უშგულსა და კალაში გზების თოვლისაგან გაწმენდა - 12000 ლარი (შპს „მესტია გზა“)
- ▶ შიდა სასოფლო გზების გაწმენდითი სამუშაოები - 13 000 ლარი (შპს „მესტია გზა“)

მესტიის მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა რა ზემოთაღნიშნული გამოცდილება, რომ გადაუდებელი აუცილებლობის დროს ყოველ ჯერზე საჭირო ხდებოდა ნებართვის მოპოვება, შემდგომში პრევენციის მიზნით გამოაცხადა ტენდერები გზის გაწმენდითი სამუშაოების შესყიდვის თაობაზე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან.

- ▶ სტიქიური მოვლენების შედეგად ამოვსებული ღელეების კალაპოტის განტვირთვა – 10 620 ლარი (შპს „კოშკი“)
- ▶ სოფელ უშგულში შიდა სასოფლო გზების გაწმენდითი სამუშაოები – 2 000 ლარი (ი/მ „მერაბ გულედანი“)

- ▶ შიდა სასოფლო გზების გაწმენდითი სამუშაოები - 20 000 ლარი (შპს „მესტია გზა“)

ჩვენს მუნიციპალიტეტში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის (SRMIDP) ფარგლებში შემდეგი ქვე-პროექტები:

➤ **მესტიის ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრი**

სახელმწიფო დირიჟირება: **4 344 261 ლარი**

შემსრულებელი: **შპს „დაგი“**

პროექტის სტატუსი: **მიმდინარე**

პროექტის დასრულება: **2018 წლის აპრილში**

ბენეფიციართა რაოდენობა: **10 000**

დაფინანსების წყარო: **თანხის 85%** დაფინანსდა **მსოფლიო ბანკით**, მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით დაფინანსდა **15%** – **651 639 ლარის** ოდენობით. საიდანაც სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სს „სვანეთი ჰიდრო“-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე 600 000 ლარის გადახდის ვალდებულება აიღო სს „სვანეთი ჰიდრომ“.

პროექტის განხორციელების შემდგომ, თეატრის ტერიტორია კეთილმოეწყობა და შემოიღობება, განთავსდება საზაფხულო ამფითეატრი სცენის ტექნოლოგიით და ავტოსადგომი. საპროექტო შენობის I სართულზე განთავსდება ფოიე, რომლის ძირითადი დანიშნულებაც მომსვლელთა მიღება და საგამოფენო დარბაზია, ფოიეში ასევე გამოყოფილი იქნება ცენტრალური ადგილი სვანური კულტურულ-ისტორიული მონუმენტების გამოსაფენად. ფოიეს სივრცეშია მცირე საგარდერობე და სველი წერტილები ბენეფიციართათვის. ასევე ფოიე უშუალოდ უკავშირდება სამაყურებლო დარბაზსა და კაფეს, სამაყურებლო დარბაზი იქნება მრავალფუნქციური და გათვლილია 208 ადამიანზე. დარბაზი და სცენა აღიჭურვება ყველა საჭირო ტექნოლოგიური მოთხოვნის გათვალისწინებით. კაფეს თავის მხრივ აქვს სამზარეულო და უშუალო კავშირი ტერასასთან, სადაც სეზონურად შესაძლებელი იქნება ღია კაფეს მოწყობა. I სართულზე ასევე განთავსებულია ადმინისტრაციული ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს, დირექტორის ოთახს, თავისი სველი წერტილით, სამუშაო ოთახს 3 ადგილზე და სალაროებს. ასევე ამ სართულზე განთავსდება სარეკვიზიტო, ოთხი საგრიმიორო, თავისი სველი წერტილებით და სამრეცხაო. საპროექტო შენობის II სართული გაყოფილია 2 ბლოკად: პირველ ბლოკში, რომელიც არსებულია განთავსდა სარეპეტიციო სივრცე და საგარდერობე, ხოლო მეორე ბლოკში, რომელიც ჩნდება საპროექტო დაშენების სახით, განთავსდება სასტუმროს ექვსი ნომერი, თავისი სველი წერტილებითა და ყველა საჭირო ინვენტარით.

➤ **უშბის ქუჩისა და მასში შემავალი ჩიხების რეაბილიტაციის მეორე ეტაპი**

სახელმწიფო დირიჟირება: **861 602 ლარი**

შემსრულებელი: **ი/მ „ირაკლი სიჭინავა“**

პროექტის სტატუსი: **მიმდინარე**

პროექტის ვადები: **06.09.2016 – 06.09.2017 წელი**

პროექტი მოიცავს დაბა მესტიაში არსებული უშბის ქუჩის, სეტის I შესახვევის, გივი ჯაფარიძის, თამარ მეფის I შესახვევის, ნიგურიანის ქუჩისა და სეტის II ჩიხის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. პროექტის

განხორციელების შემდგომ ქუჩებში დაიგება ასფალტის საფარი და ქვავენილი, მოეწყობა დახურული ტიპის სანიაღვრე სისტემა, სანიაღვრე ჭები, ცხაურიანი სალექარი.

➤ **მულახის ილიკო გაბლიანის სახელობის სპორტული კომპლექსის სარეკონსტრუქციო სამუშაოები**

სახელშეკრულებო ღირებულება: **2 681 491 ლარი**

შემსრულებელი: **შპს „ბანი“**

დაფინანსების წყარო: **მსოფლიო ბანკის გრანტი – 30%, სესხი – 50%, მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა – 20% (536 298 ლარი)**

პროექტის სტატუსი: **დასრულებული**

სპორტსკოლის რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში მოხდა სპორტული დარბაზის, საცურაო აუზის, სამეურნეო ფანჯატურის, სპორტული მოედნის, საშხაპეებისა და საუნის, სამზარეულოსა და კაფე-ბარის და სხვა შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ადგილობრივი მნიშვნელობის მესტიის ცენტრი - აეროპორტი - წრნიაშის საავტომობილო გზის კმ 1 -კმ 4 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები

სახელშეკრულებო ღირებულება: **2 422 575 ლარი**

შემსრულებელი: **„სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“**

დამკვეთი: **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

პროექტის სტატუსი: **მიმდინარე**

პროექტის აღწერა: პროექტის ფარგლებში განხორციელდება გზის საყრდენი კედლები, დამცავი გაბიონები, დაიგება ასფალტო-ბეტონის საფარი.



2016 წელს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი ქონების სახით გადმოცემულია 16 ობიექტი როგორც შენობა-ნაგებობა, ასევე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც შემდგომ გადაეცა ადგილობრივ საჯარო რეესტრს შემდგომში მათი მესტიის თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში დარეგისტრირების მიზნით.

ამჟამად ქონების ეროვნულ სააგენტოში გაგზავნილია მოთხოვნა 13 ობიექტის გადმოცემაზე, აქედან 6 შენობა-ნაგებობაა, ხოლო 7 არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი.



მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2016 წელს სულ შემოვიდა - **4602**
კორესპონდენცია (რომელიც 1142-ით აღემატება 2015 წელს შემოსული
კორესპონდენციის რაოდენობას), კერძოდ:

- ▶ მოსახლეობიდან შემოვიდა: **1795(-24)** განცხადება, რომელთა **91%** შესრულებულია
- ▶ მთავრობიდან, სამინისტროებიდან და სააგენტოებიდან: **1503 (+1148)** წერილი და **22** სამართლებრივი აქტი
- ▶ სხვადასხვა ორგანიზაციებიდან: **1223 (+51)** მომართვა
- ▶ საკრებულოდან: **15** წერილი და **44** სამართლებრივი აქტი
- ▶ შესრულებული კორესპონდენცია სულ: **3920 (85%)**
- ▶ გაგზავნილია **170** შუალედური წერილი

განხილვის პროცესშია: 446 კორესპონდენცია, მათგან ნაწილი ის წერილებია, რომელთა განხილვის ვადა არ აღემატება კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებს. ნაწილი განცხადებებისა ეხება, ძირითადად სამშენებლო მასალებისა და წყლის მიღების მოთხოვნას, ამორტიზებული სახლებისა და მაჩუბების რეაბილიტაციის მოთხოვნას, ხოლო **298 წერილი** მიწის საკუთრების აღიარების საკითხს (იდენტიფიკაცია, საკადასტრო-აზომვითი ნახაზების კორექცია),

როგორც მოგეხსენებათ, მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის მიერ მიწის მართლზომიერი მფლობელობის პრობლემის მოგვარების მიზნით „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იქნა დადგენილება №76 28/07/2016წ. „**ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ**“, რომლის თანახმად მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეიქმნა „**მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელთან არსებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისია**“- აღნიშნული კომისიის სახელზე 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამგეობაში შემოვიდა სულ - **913 განაცხადი**, რომელთაგან საკუთრების აღიარებას შეეხებოდა - **198**, კომლის შემადგენლობას **391**, მიწის იდენტიფიკაციას - **313**, ხოლო საზღვრების კორექტირებას - **11** განაცხადი.

აღნიშნული განცხადებებიდან შესრულებულია - **556** მომართვა, კერძოდ:

ა)კომლის შემადგენლობასთან დაკავშირებული - 319 მომართვა უფლებამოსილებისამებრ გადამისამართდა შესაბამის უწყებაში

ბ)მიწის ნაკვეთების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდა -165 მომართვა

გ)მიწის საკუთრების აღიარებასთან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გაიგზავნა 68 შუალედური წერილი, საკუთრების უფლების მაძიებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სრულყოფის მიზნით.

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან 2016 წელს გაგზავნილი კორესპოდენციის რაოდენობამ ჯამში შეადგინა - 1244(+163).

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტი თავის კანონიერ

ინტერესებს იცავს სასამართლოში 5 ადმინისტრაციულ საქმეზე:

1) შპს „ჯეო ხარისხის“ წინააღმდეგ მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შეტანილი სარჩელი დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ და შესაბამისად შპს „ჯეო ხარისხს“ დაეკისრა 11 111 ლარის გადახდა.

2) მოქალაქე, თინა გულედანის სარჩელი, რომელიც ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა, ხოლო მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, თუმცა მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია.

3) მოქალაქე, თეიმურაზ გაბულდანის სარჩელი, რომელიც ეხებოდა საკუთრების უფლების მოპოვებას უძრავ ქონებაზე. მოქალაქის მოთხოვნა, როგორც პირველი, ისე მეორე ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა.

4) მესტიის მუნიციპალიტეტის უშგულის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე „კულტურის სახლის“ საკითთან დაკავშირებით, მოქალაქე თეიმურაზ დავითულიანისა და მოქალაქე ბესიკ დავითულიანების წინააღმდეგ, რომელთა საკუთრებადაც არის დარეგისტრირებული აღნიშნული უძრავი ქონება. მესტიის მუნიციპალიტეტის საჩივარი არ დააკმაყოფილა ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ, რის გამოც მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გადაწყვეტილება გაასაჩივრა ზემდგომ ინსტანციაში. საბოლოო გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ამ ეტაპზე ცნობილი არ არის.

5) შპს „კასლეთი –2“-სა და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის დავასთან დაკავშირებით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა გადასცეს ქონება მოსარჩელეს ხოლო ზიანის სახით 643 700 ათასი ლარის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, რაც შპს „კასლეთმა“ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში.

2016 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოიცა სულ: 635 სამართლებრივი აქტი

სახელმწიფოში მოქმედი საჯარო მოხელეების უწყვეტი სწავლების პრინციპის თანახმად მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში საქართველოს მთავრობის N 319 დადგენილების შესაბამისად გადამზადდა **სულ 36 საჯარო მოხელე**.

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ განხორციელებული საქმიანობების საჯაროობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტის - გამჭვირვალობის პრინციპის უზრუნველსაყოფად დაიხარჯა 14 783 ლარი

- ყოველთვიური, ადგილობრივი, ბეჭდური საინფორმაციო გამოცემის მეშვეობით (2016 წელს სულ გამოიცა 11 ნომერი, სახელმწიფოებო თანხა 6743 ლარი) წლის გამწვანებაში მომზადდა და გაზეთში განთავსდა **160-მდე სხვადასხვა მოცულობისა და შინაარსის მქონე ინფორმაცია**, რომელიც ასახავდა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების, სხვადასხვა სოციალური საკითხების, საგანმანათლებლო, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებს;
- აგრეთვე, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილებების საშუალებით ხდება კომუნიკაცია ქვეყანაში არსებული, სხვადასხვა სახის მედია საშუალებებთან, როგორც პრესის ასევე ტელევიზიების წარმომადგენლებთან (ინტერნეტსაიტი "Guardian.ge", ინტერნეტსაიტი "Etanews.ge" და გაზეთი „საერთო სიტყვა“ (საერთო თანხა - **6940 ლარი**);
- 2016 წლის გამოიცა კედლის კალენდარი, რომელიც დაიბეჭდა **300 ერთეული ტირაჟით, რომლის ღირებულებამ შეადგინა - 1100 ლარი**. კალენდარში ასახულია, მესტიის მუნიციპალიტეტში 2015 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები. კალენდარი გავრცელდა მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით ადგილობრივ მოსახლეობასა და სხვადასხვა ორგანიზაციებში.
- **სოციალური ქსელის- ფეისბუქის**, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალური გვერდი (განთავსდა 200-მდე ახალი ამბავი, ხოლო მომწონებელთა რაოდენობა 2016 წელს გაზრდილია 2 993-ით);
- მესტიის მუნიციპალიტეტის **გამგებლის ბრძანებით განსაზღვრული, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის საშუალებით** (2016 წელს მოთხოვნილი იქნა წერილობით და გაიცა **სულ 17 საჯარო ინფორმაცია**);
- გარდა ამისა, 2015 წლიდან შექმნილია „**მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო**“, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ ორგანოსთან ერთად განიხილავს მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებს და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე, ბიუჯეტის პროექტის დასამტკიცებლად წარდგენა;
- „**საჯარო ინფორმაციის პროაქტიური გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განცხადების ფორმის დამტკიცების შესახებ**“- მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N3 დადგენილებით;
- „**მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ**“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის N17 დადგენილებით (ვებგვერდის მისამართია: www.mestia.ge) ვებგვერდის ადმინისტრირების პარალელურად, ხდება ფოტო და ვიდეომასალის სელექცია და დაარქივება;

გარდა ამისა, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის მუდმივმოქმედი კომისიები და საბჭოები, კერძოდ:

- „პირის მუნიციპალიტეტში ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია“ - შესასრულებლად დაეწერა და შესაბამისი წარმოების საფუძველზე გასცა, ყოფნის ფაქტის დადასტურების შესახებ 4 ცნობა;
- „მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელთან არსებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისია“, რომელმაც 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განიხილა 556 მომართვა;
- „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საბჭო“, რომლის მიერაც უზრუნველყოფილი იქნა „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის N591-ე დადგენილების შესაბამისად, პირველადი რეგისტრაციით 5728 მოქალაქისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭება, ხოლო „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხის განხილვისა და სტატუსის მონიტორინგის მიზნით უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 15 დეკემბრის N595-ე ბრძანების შესაბამისად უზრუნველყო 1411 ინდივიდუალური განცხადების მიღება და დარეგისტრირება შესაბამის ელექტრონულ ბაზაში;
- „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“;
- „მესტიის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა შესარჩევი საკონკურსო საატესტაციო კომისია“;
- „სოციალური პაკეტების განაწილების საკითხთა საბჭო“, რომელმაც 2106 წლის განმავლობაში განიხილა სულ - 1240 განცხადება;
- „მესტიის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო კომისია“;
- „მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციის კომისია“;
- „მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“ - საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე 2016 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაიცა 21 სამშენებლო ნებართვა.



2016 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სოციალურ პროგრამებზე დაიხარჯა 353 623.77 ლარი

2016 წელს სოციალური პროგრამები დაიგეგმა გასული წლის ანალიზის შედეგად. ყოველი პროგრამა მორგებულია მოსახლეობის საჭიროებებს; მოქალაქეების მხრიდან შემოსულ განცხადებებში აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო გახდა სოციალურ პროგრამებში 5 კატეგორიის დამატება კერძოდ, დაემატა:

- 1) მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ C ჰეპატიტით დაავადებულთა გამოკვლევის თანადაფინანსების პროგრამა, ვინაიდან სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პაციენტთა მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 70 %-ს). სოციალურად დაუცველი ოჯახების შემთხვევაში 30%-ის ოდენობით,(სოციალურად დაუცველი ოჯახების

მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, თანაგადახდა შეადგენს 30 %-ს).

- 2) მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ 0 დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი ბავშვების ფარისებრი ჯირკვლის (პათოლოგიათა ადრეული გამოვლენის მიზნით) გამოკვლევების თანადაფინანსების პროგრამა, რადგან სვანეთი ენდემური კერაა ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიისა.
- 3) სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გეგმიური ენდოსკოპიური გამოკვლევის დაფინანსების პროგრამა.
- 4) მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა (17 ოქტომბერს „ვეტერანების დღის“ აღნიშვნასთან დაკავშირებით).
- 5) კომუნალური სუბსიდირების პროგრამა - პროგრამის ფარგლებში დ. მესტიაში რეგისტრირებული წყლის გადასახადის აქტიური, საყოფაცხოვრებო მომხმარებლების/აბონენტების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დ. მესტიაში რეგისტრირებულ ოჯახების, რომლებიც ბენეფიტის დარიცხვის თვის წინა ერთი თვის განმავლობაში უწყვეტად ინარჩუნებენ 65 001 სარეიტინგო ქულას, ყოველთვიური კომუნალური გადასახადის ერთიანი გადახდის ქვითარზე ასახული თანხის ოდენობა გადაირიცხება მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ. (აღნიშნული პროგრამა დროებით შეჩერებულია).

აგრეთვე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის ფარგლებში (ამოქმედდა 2015 წლის პირველი მაისიდან) შეფასებულ (შესწავლილ) ოჯახებზე გათვალისწინებულია საარსებო შემწეობის ოდენობების ცვლილების საფუძველზე, ცვლილება შევიდა სოციალურად დაუცველ მძიმე კატეგორიის ავადმყოფთა და სიღატაკის ზღვარზე მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამაში (პროგრამული კოდი 06 02 02), ცვლილების თანახმად პროგრამით სარგებლობენ მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სოციალურად დაუცველის ან იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის სტატუსის მქონე მძიმე კატეგორიის ავადმყოფები (მათ შორის-შაქრიანი დიაბეტი, პარკინსონის დაავადება, ბრონქული ასთმა, იშემიური ინსულტი, მიოკარდიუმის ინფარქტი, გულის მანკი, გულის მწვავე უკმარისობა, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, ფსორიაზი, ეპილეფსია, გაფანტული სკლეროზი) მაღალმთიან რეგიონში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე , მედიკამენტებისა და ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარად მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ , სოციალურად დაუცველის ან დევნილის სტატუსის მქონე მძიმე კატეგორიის ავადმყოფებს პროგრამის ფარგლებში ეძლევათ ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

ცვლილება შევიდა სტიქიით (მათ შორის – ხანძარი) დაზარალებულ ოჯახებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების კატეგორიაშიც და ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახები ერთჯერადი ფულადი დახმარებების ოდენობა გაიზარდა 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე;

ხანძრის შედეგად დაზარალებულთა, ზიანის ოდენობის მიხედვით დახმარება გაიცემა არანაკლებ -500 (ხუთასი) ლარიდან , არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე;

სოციალური დახმარების პროგრამებისა და გაცემის წესის თანახმად, ერთჯერადი სოციალური დახმარება ეძლევა შემდეგი კატეგორიის მოქალაქეებს და ოჯახებს:

1. მარჩენალდაკარგულ ოჯახებსა და შშმ. ბავშვებს – 100 (ასი) ლარი;
2. სოციალურად დაუცველის ან იძულებით გადაადგილებული პირის -დევნილის სტატუსის მქონე მიმღე ავადმყოფების (მათ შორის-შაქრიანი დიაბეტი, პარკინსონის დაავადება, ბრონქული ასთმა, იშემიური ინსულტი, მიოკარდიუმის ინფარქტი, გულის მანკი, გულის უკმარისობა, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, ფსორიაზი, ეპილეფსია, გაფანტული სკლეროზი) ერთჯერადი დახმარება -100 (ასი) და არაუმეტეს 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
3. ხანდაზმულებს (90 წელი და ზემოთ) – 150 (ას ორმოცდაათი) ლარი;
4. ომის მონაწილე ვეტერანებსა და ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებზე-50 (ორმოცდაათი) ლარი;
5. მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სამშვიდობო მისიების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (შემდგომში – ინვალიდი) „ვეტერანების დღის“ (17 ოქტომბერს) აღსანიშნავად - საჩუქრის სახით, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების გაწევა- 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
6. გარდაცვლილ დევნილთა და ვეტერანთა ოჯახებზე დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება განისაზღვროს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
7. საკრებულოს და გამგეობის გარდაცვლილ თანამშრომელთა ოჯახებზე (თანამშრომლის გარდაცვალების შემთხვევაში) — 1500 (ათას ხუთასი) ლარი".
8. ახალშობილებზე – 150 (ას ორმოცდაათი) ლარი;
9. მრავალშვილიან ოჯახებზე, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი ხუთი და მეტი შვილი, ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;
10. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე (I ჯგუფი) –100 (ასი) ლარი;
11. ონკოლოგიურ ავადმყოფებზე, დიალიზით მოსარგებლე და ფსიქიკურად დაავადებულ პირებზე ერთჯერადი ფულადი დახმარებების ოდენობა განისაზღვრება არანაკლებ 100 (ასი) და არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა.
12. სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა ქირურგიული ოპერაციების დაფინანსება. (დაფინანსება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამისი დაწესებულების (საავადმყოფო) საბანკო ანგარიშზე, ამ დაწესებულების (საავადმყოფოს) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად, (არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით) რასაც სახელმწიფო პროგრამა არ აფინანსებს).
13. სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გეგმიური ენდოსკოპიური გამოკვლევის დაფინანსება (დაფინანსება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შესაბამისი დაწესებულების (შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი) საბანკო ანგარიშზე, ამ

დაწესებულების (საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად 100 % -ის ოდენობით ,საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ენდოსკოპიურ გამოკვლევები არ ფინანსდება).


14. მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ C ჰეპატიტით დაავადებულთა გამოკვლევის დაფინანსება (დაფინანსება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, ამ დაწესებულების (საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად 70 % -ის ოდენობით,(C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პაციენტთა მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 70 %-ს). სოციალურად დაუცველი ოჯახების შემთხვევაში 30%-ის ოდენობით,(სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, თანაგადახდა შეადგენს 30 %-ს).
15. მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ 0 დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი ბავშვების ფარისებრი ჯირკვლის (პათოლოგიათა ადრეული გამოვლენის მიზნით) გამოკვლევების თანადაფინანსება, (რომელშიც შედის ფარისებრი ჯირკვლის სადიაგნოზო ჰორმონული კვლევებიდან - თირეოტროპული ჰორმონის (TSH), პერიფერიული თავისუფალი თიროქსინის (FT4) და ანტი TPO გამოკვლევა). (გამოკვლევების თანადაფინანსება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, ამ დაწესებულების (საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ - ფაქტურების შესაბამისად. თანადაფინანსება განხორციელდება თანხით, რომლის დაფინანსებაც არ ხდება სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში).
16. სტიქიით (მათ შორის – ხანძარი) დაზარალებულ ოჯახებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება:
 - ა) ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახები : ერთჯერადი ფულადი დახმარებების ოდენობა განისაზღვროს არანაკლებ -500 (ხუთასი) ლარიდან , არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე;
 - ბ) სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირები: ერთჯერადი ფულადი დახმარებების ოდენობა განისაზღვროს არანაკლებ - 500 (ხუთასი) ლარიდან, არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარამდე;
17. კომუნალური სუბსიდირების პროგრამა - პროგრამის ფარგლებში დ. მესტიაში რეგისტრირებული წყლის გადასახადის აქტიური, საყოფაცხოვრებო მომხმარებლების/აბონენტების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დ. მესტიაში რეგისტრირებულ ოჯახების, რომლებიც ბენეფიტის დარიცხვის თვის წინა ერთი თვის განმავლობაში უწყვეტად ინარჩუნებენ 65 001 სარეიტინგო ქულას, ყოველთვიური კომუნალური გადასახადის ერთიანი გადახდის ქვითარზე ასახული თანხის ოდენობა გადაირიცხება მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ. (აღნიშნული პროგრამა დროებით შეჩერებულია).

მესტიის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით **სოციალური პროგრამებისთვის** გამოყოფილი იყო **352 000 ლარი**.

2016 წლის 12 თვის განმავლობაში შემოვიდა **1273 განცხადება** (აქედან 35 განცხადება განსახილველად გადმოვიდა 2015 წლის ბაზიდან). კატეგორიების მიხედვით **დახმარება გაეწია 1148** განმცხადებელს **353 623.77 ლარის** ოდენობით;

(დამატებით იხ. ცხრილი დანართი N2)

სოციალური დაცვის სამსახურის მიერ გაცემული თანხები (ლარი) წლების მიხედვით



2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „**მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ**“. როგორც მოგეხსენებათ მესტიის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებას მიენიჭა მაღალმთიანი დასახლების სტატუსი

„მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის №591 დადგენილების შესაბამისად, მონაცემთა გამოთხოვის მიზნით მივმართეთ (ადმინისტრაციული სამსახურის, ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსთან ერთად) 16 სამინისტროს. მიღებული მონაცემების დამუშავების შემდგომ (სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან უშუალო თანამშრომლობის საფუძველზე) მომზადდა მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების პროექტი, რომლის საფუძველზეც მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი მიენიჭა მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ **5728 მოქალაქეს**. (პროფესიული განათლების მასწავლებლები, საჯარო სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები, მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საბიუჯეტო ორგანიზაციაში დასაქმებული პირები, სოციალურად დაუცველი ოჯახები).

„მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხის განხილვისა და სტატუსის მინიტორინგის მიზნით უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 15 დეკემბრის №595 ბრძანების შესაბამისად, მოხდა განცხადებების მიღება და რეგისტრაცია შესაბამის ელექტრონულ

ბაზაში (MMS-მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა) - 2016 წლის განმავლობაში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის და მაღალმთიანის სტატუსის შესახებ ცნობის გაცემის თაობაზე სულ რეგისტრირებულ იქნა **1411 ინდივიდუალური განცხადება**, თითოეულ მათგანზე შესრულდა შესაბამისი პროცედურები და დადებითად დასრულდა **1077 განცხადება**, **334 განცხადება არ აკმაყოფილებდა** „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის №591 დადგენილების მოთხოვნებს.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობს:

- საპენსიო ასაკს მიღწეული და სოციალური პაკეტის მიმღები **2616** პირი-20% დანამატით.
- პირველ და მეორე ბავშვზე 1 წლის განმავლობაში 100 ლარიან დახმარებას იღებს **80** მოქალაქე.
- მესამე და შემდეგ ბავშვზე 2 წლის განმავლობაში 200 ლარიან დახმარებას იღებს **122** მოქალაქე.
- მესტიის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო სკოლის მასწავლებლები სარგებლობენ საბაზო თანამდებობრივი სარგოს **არანაკლებ 35%-იანი დანამატით**.
- მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლები სარგებლობენ შრომის ანაზღაურების **არანაკლებ 35%-იანი დანამატით**.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ან/და მის სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული შესაბამისი პროგრამის მონაწილე მასწავლებლები, რომლებიც პროგრამის ფარგლებში მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არიან დასაქმებული, სარგებლობენ შრომის ანაზღაურების არანაკლებ 50%-იანი დანამატით.
- მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალზე გაიცემა დანამატები, ექიმისათვის – სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისათვის – სახელმწიფო პენსიის ოდენობით;
- მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარე, არასაბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირები სარგებლობენ **20%-იანი შეღავათით**.



2016 წლის ჩვენი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მიხედვით კულტურული ღონისძიებების განხორციელებაზე მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაიხარჯა

130 924 ლარი

N	ღონისძიებების დასახელება	დახარჯული თანხა (ლარი)
1	პირველკურსელთა თანადაფინანსება 1000 ლარით	60 775
2	ქართული სიმღერის ჰანგები	2 960

3	სპორტული ოლიმპიადა	5 000
4	არქეოლოგიური გათხრები	5 000
5	ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის წიგნები საჩუქრად მესტიის საბავშვო ბაღებს	2 000
6	26 მაისის ღონისძიება	10 000
7	ინტელექტი	3 000
8	ფოლკლორული ფესტივალი „ზემო სვანეთი - 2016“	3 989
9	მიხეილ ხერგიანის სახელობის მემორიალური ტურნირი მეკლდეურობაში	5 000
10	მუხრან შუკვანის სახელობის მინი ტურნირი ფეხბურთში	2 040
11	ეტალონი	2 960
12	საქართველოს მოხალისე	900
13	ტრენინგი შშმ ბავშვების აღზრდელებს	300
14	მოკრივეების თანადაფინანსება	2 000
15	საახალწლო ღონისძიება	25 000

განათლებული, პერსპექტიული და საინტერესო მომავლის მქონე ახალგაზრდების სწავლა-განათლების ფინანსური ხელშეწყობის მიზნით და განათლებული მომავალი თაობის უზრუნველსაყოფად, როგორც მოგეხსენებათ, უკვე მეოთხე წელია აქტიურად ხორციელდება „**მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირველკურსელ სტუდენტთა თანადაფინანსების**“ პროგრამა, რომელიც მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივა გახლდათ და დამტკიცდა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 07 ნოემბრის №75 განკარგულებით.

2016 წელს **სპორტული ღონისძიებების განხორციელების** მიზნით მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა **61 113 ლარი 46 სპორტულ ღონისძიებაზე.**

სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ძიუდო, სამბო, კრივი, სამთო-თხილამური, მეკლდეურობა) საქართველოს ნაკრების წევრი გახდა **სულ 10 სპორტსმენი.**

ჩვენს მუნიციპალიტეტში სპორტის მიმართულებით განხორციელებული რეფორმისა და გაზრდილი დაფინანსების მიუხედავად, საჭიროა სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, რათა ამ მიმართულებით დახარჯული თანხები შეესაბამებოდეს მუნიციპალიტეტის მიერ მიღწეულ შედეგებს.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და მოტივაციის გაზრდის მიზნით მესტიის მუნიციპალიტეტში ხელახლა ჩაეყარა საფუძველი ახალგაზრდული კლუბი „**ბეთქილის**“ ფუნქციონირებას. რის შედეგადაც შეიქმნა ადგილობრივი ახალგაზრდების განვითარებისთვის შესაფერისი გარემო სადაც ახალგაზრდების უშუალო ჩართულობით და ორგანიზებით იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა კულტურული-შემეცნებითი ღონისძიებები. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „**ახალგაზრდები მთისთვის**“ რომელსაც მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ იჯარის ფორმით გადაეცათ ახალგაზრდული კლუბ „**ბეთქილის**“ შენობა.

როგორც მოგახსენეთ, 2016 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობისთვის სოციალური პრობლემების გაუმჯობესებას, ჯანსაღი საარსებო გარემოს უზრუნველყოფას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვისა და განათლების ხელშეწყობას. მესტიის მუნიციპალიტეტის როგორც ტურისტული რეგიონის განვითარების ხელშეწყობას, რაც მომავალში საზოგადოებისათვის შექმნის ეკონომიკური აქტივობების გაზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ხელშეწყობის წინაპირობას.

ჩვენი მიზანია, მომავალი საქმიანობის პროცესში მაქსიმალურად ავამოქმედოთ და გამოვიყენოთ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ყველა რესურსი, საზოგადოებრივი ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით.

პატივისცემით,

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი:



/ვ. ჟორჯოლიანი/